# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030174718037820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/11034** **11 / სექტემბერი / 2020 წ.**

შპს "ბომონდის" დირექტორს ბატონ მამუკა მიქაძეს

ბატონო მამუკა,

როგორც მოგეხსენებათ, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილებით დამტკიცებული მობილიზებული კლინიკების სიის შესაბამისად, თქვენი სამედიცინო დაწესებულება შერჩეულია COVID-19-ის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვისთვის.

ქვეყანაში მიმდინარე ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, წარმოიშვა COVID-19 დადასტურებული პაციენტების სამართავად დამატებითი საწოლების მობილიზების საჭიროება. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-18 მუხლის, მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, გთხოვთ, თქვენი კლინიკის ბაზაზე არსებული საწოლფონდიდან, აღნიშნული მიზნისთვის, დაუყოვნებლივ (2020 წლის 11 სექტემბრიდან) გამოყოთ 150 საწოლი.

აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ სიტუაციის შესაბამისად, უახლოეს 72 საათში შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს დამატებითი საწოლების მობილიზაციის საკითხი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული და, შესაბამისი მითითებების შემთხვევაში, იყოთ მზადყოფნაში დამატებითი საწოლების ან კლინიკის სრულად მობილიზებისთვის.

აქვე გაცნობებთ, რომ მობილიზებული საწოლებისა და COVID-19-ის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია